ბრძანება:**ბ47.47220181**
თარიღი:**18/01/2022**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის

საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტისა და ,,გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1^1 პუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლისა და ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N3 დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილი, გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად, დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შემდეგი შემადგენლობა:

ა) **ზაალ მამალაძე** - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);

ბ) **მარინე ბერაძე** - სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

(საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

გ) **მარიტა მგალობლიშვილი**-უფროსი სპეციალისტი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებისა და ექსპერტიზის საკითხებში- (საბჭოს მდივანი);

დ) **ჯუმბერი ბერძენიშვილი**-საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-საბჭოს წევრი;

ე) **მაია გიორგაძე** - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე-საბჭოს წევრი;

ვ) **ქეთევან სიხარულიძე** - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე-საბჭოს წევრი;

ზ) **მანანა მინდაძე** - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი-საბჭოს წევრი

თ) **ლაშა თოლორდავა**-ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე-საბჭოს წევრი;

ი) **ლაშა ირემაძე**- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი-საბჭოს წევრი;

კ) **მარინე თავაძე**-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი-საბჭოს წევრი;

ლ) **ნინო რამიშვილი**-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი-საბჭოს წევრი;

მ) **ნინო კაპანაძე** - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში პასუხისმგებელი პირი გენდერულ საკითხებზე-საბჭოს წევრი;

ნ) **ნანა ცინცაძე**-ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრის ხელმძღვანელი-საბჭოს წევრი;

ო) **თეა მამალაძე**-ა(ა)იპ ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე-საბჭოს წევრი;

პ) **სოფიო ჯინჭარაძე**-ოზურგეთის, ლაჩხუთისა და ჩოხატაურის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ჩოხატაურის ოფისის ხელმძღვანელი-საბჭოს წევრი;

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 31/01/2018 წლის N 21 ბრძანება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N4.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი